საქართველო

ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის

შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახური

ხულოს მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ი ”-ს „ხულოს მუნიციპალური სერვისები”-ს

შიდა აუდიტორული ანგარიში

(01.01.2021 წ. - 31.12.2021 წ.)

ხულო

2022 წ.

აუდიტის ობიექტი - ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალური სერვისები

აუდიტის ობიექტის მისამართი - დ.ხულო, დ. აღმაშენებლის ქუჩა № 3

თემა - შესაბამისობის აუდიტი

შესაბამისობის აუდიტის საფუძველი -ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 12 იანვრის № **პ/10168988** ბრძანებით დამტკიცებული ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახურის წლიური სამუშაო გეგმა.

აუდიტის ჯგუფი - ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახურის უფროსი ზვიად თავართქილაძე, სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სოფიკო ქონიაძე.

აუდიტის ვადა - 01.02.2022წ. – 01.03.2022წ.

აუდიტის პერიოდი - 01.01.2021 წ. – 31.12.2021 წ.

ჩვენ ჩავატარეთ ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალური სერვისების **შესაბამისობის აუდიტი, რომელიც მოიცავს 2021 წლის 01 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე განვლილ პერიოდს.**

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალური სერვისების ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია გაწეული საქმიანობის კანონიერებასა და მიზნობრიობაზე, ნაერთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის წარდგენაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე", საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ", საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ" №364 ბრძანების შესაბამისად.

აუდიტორების პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ამ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვას და ჩატარებას, მივიღოთ გონივრული რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

პირობითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით და ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინებით სადაც ასახულია ა(ა)იპ-ს მდგომარეობას 2021 წლის 01 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე.

საქმიანობის მიმოხილვა:

„ხულოს მუნიციპალური სერვისი"-ს **სადამფუძნებლო დოკუმენტაციის კანონმდებლობასთან შესაბამისობის ანალიზი**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ხულოს მუნიციპალური სერვისი"-ს " დაფუძნებულია ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2018 წლის 22 იანვრის №21 ბრძანებით და იგი არის წევრთა

მდგომარეობისაგან დამოუკიდებელი კავშირი. 22/01/2018 წლის ხულოს მუნიციპალიტეტის მერის N18 ბრძანებით დამტკიცებულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ხულოს მუნიციპალური სერვისების **წესდება**. ა(ა)იპ-ის 10/05/2021 წ. N15 ბრძანებით დამტკიცებულია დაწესებულების **შინაგანაწესი.**

„ხულოს მუნიციპალური სერვისი"-ს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ხარჯთაღრიცხვა, საბანკო და სახაზინო ანგარიშები, ბეჭედი, შტამპი, ბლანკი და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

„ხულოს მუნიციპალური სერვისი" ახორციელებს თავის საქმიანობას საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, წესდების და საკუთარი შინაგანაწესის საფუძველზე. ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის წინაშე, რომელიც ახორციელებს დამფუძნებლის უფლებამოსილებებს.

ა(ა)იპ-ი „ხულოს მუნიციპალური სერვისები" შექმნილია განუსაზღვრელი ვადით. გაერთიანების იურიდიული მისამართია: ხულოს მუნიციპალიტეტი, დაბა ხულო, დ. აღმაშენებლის ქ №3

ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ხარჯვის მდგომარეობა და კანონიერება.

ა(ა)იპი ხულოს მუნიციპალური სერვისების 2021 წლის დამტკიცებული და დაზუსტებული საბიუჯეტო ასიგნებები განისაზღვრა 597 491 ლარით ამავე პერიოდში საკასო შესრულებამ წარმოდგენილი ბალანსის მიხედვით შეადგინა 2021 წელში 594 595 ლარი.

მუხლობრივ ჭრილში შესრულება შემდეგნაირია:

შრომის ანაზღაურება 2021 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო 58 525 ლარის ასიგნება, გაწეულია საკასო და ფაქტობრივი ხარჯი 58 525 ლარი .

საქონელი და მომსახურება მუხლით გეგმით გათვალისწინებული იყო 2021 წელს 538 966 ლარი. გაწეულია საკასო ხარჯი 536 070ლარი.

შტატგარეშე მოსამსახურეთა ხელფასი გეგმით შეადგენს 2021 წელს 262 100 ლარი, გაწეულია საკასო და ფაქტობრივი ხარჯი 262 100 ლარი.

მივლინების ხარჯის მუხლით 2021 წელს გეგმით გათვალისწინებული იყო 500 ლარი. საკასო შესრულებამ შეადგინა 0 ლარი.

ოფისის ხარჯი დამტკიცებული ბიუჯეტით შეადგენდა 2021 წელს 21 430 ლარს, ხოლო საკასო ხარჯი შეადგენს 19 107 ლარს, დაგეგმილზე 2 323 ლარით ნაკლებს.

რბილი ინვენტარის და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები 2021 წელს გათვალისწინებული იყო 6 018 ლარი, საკასო შესრულება 6 018 ლარი.

სხა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის მუხლით გათვალისწინებული იყო 2021 წელს 84 552 ლარი, საკასო შესრულება 84 500 ლარი.

ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯი 2021 წელში დაგეგმილი იყო 163 871 ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 163 871 ლარი.

2021 წლის შტატის მომუშავეთა რიცხოვნება დაგეგმილი იყო 10 თანამშრომელი ფაქტიურად 10 თანამშრომელი, შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა დაგეგმილი იყო 78 ფაქტიურად მუშაობდა 78 თანამშრომელი.

სახელმწიფო შესყიდვები

2021 წელს ა(ა)იპ „ხულოს მუნიციპალური სერვისების" მიერ განხორციელებულია 46 სახელმწიფო შესყიდვა, მათ შორის 3 ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე, კონსოლიდირებული ტენდერით გაფორმებულია 11 ხელშეკრულება საწვავზე (სს ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია), 36 გამარტივებული შესყიდვა. (ერთ პირთან მოლაპარაკებით).

გამარტივებული შესყიდვები განხორციელებულია ბაზრის კვლევის გარეშე, რითაც არა არის გათვალისწინებული, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გაცემული რეკომენდაციები, გამარტივებული შესყიდვების განხორციელების შესახებ.

შესყიდვების გეგმით CPV კოდი 31500000 (გასანათებელი მოწყობილობები და ელექტრონათურები) 2021 წელს გათვალისწინებული იყო 60000 ლარი გაფორმებულია ხელშეკრულება 72 989 ლარზე. 12 989 ლარით -ით მეტი

შესყიდვების გეგმით CPV კოდი 34300000 (ნაწილები და აქსესუარები სატრანსპორტო საშუალებებსა და მის ძრავებზე) 2021 წელს გათვალისწინებული იყო 2 675 ლარი გაფორმებულია ხელშეკრულება 11 115 ლარზე. 123 ლარით მეტი.

რეკომენდაცია

სახემწიფო შესყიდვები განხორციელდეს "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" მოთხოვნათა სრული დაცვით.

სახელმწიფო შესყიდვები განხორციელდეს "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" მოთხოვნათა სრული დაცვით.

ხელშეკრულებების გაფორმება მოხდეს შესყიდვების გეგმის მიხედვით საჭიროების შემთხვევაში მოხდეს ცვლილება შესყიდვების გეგმაში და მის შემდეგ გაფორმდეს ხელშეკრულება.

ხელშეკრულებების გაფორმებისას დაცული იქნას ქრონოლოგიურობა და ნუმერაციის თანმიმდევრულობა. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასყიდი საქონელის სრული ჩამონათვალი ასახული იქნას დანართში და მიეთითოს CPV კოდი.

სახელმწიფო შესყიდვები განხორციელებამდე, მოხდეს ბაზრის კვლევა და გამოკვეთილი შედეგების შემდგომ განხორციელდეს შესყიდვა.

საავტომობილო პარკი

გარემოება 1.

ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალურ სერვისების საავტომობილო პარკი შედგება 6 ერთეული ავტომობილისაგან, რომლებსაც ორგანიზაცია იყენებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ნარჩენების გადასატანდ, შესაგროვებლად, თოვლის საფარის გასაწმენდად და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სხვა სამუშაოების განსახორციელებლად.

წინა წლებში მუნიციპალიტეტი ნარჩენების მართვისათვის აცხადებდა სახელმწიფო შესყიდვას, (ტენდერს) რის საშუალებითაც ხორციელდებოდა ნარჩენების ქალაქ ბათუმში გადატანა. 2021 წელს მუნიციპალიტეტმა გრანტით შეიძინა ნარჩენების გადამტანი ავტომობილი რომლის საშუალებითაც ხორციელდება ნარჩენების ქალაქ ბათუმში გადატანა. წინა წლების შესაბამის

სამუშაოების კვლევის შედეგად დგინდება, რომ აღნიშნული სამუშაოებისათვის უფრო ნაკლ;ები ფინანსური რესურსი აღმოჩნდა საკმარისი, რაც საბიუჯეტო სახსრების ეფეტური ხარჯვის მაჩვენებელია.

ავტომობილი	ავტომობილზე დასაქმებულთა ხელფასი (2021წ)	საწვავის ხარჯი	შეკეთების ხარჯი	ჯამი	წელი
MAN (ნარჩენების მზიდი)	16200	36015	8000	60215	2021 წელი
ხელშეკრულებით ნარჩენების გადატანა ხულოდან ბათუმში 2021 წელში ხარჯი ლარებში				98000	
ეკონომია				37785	

უნდა აღინიშნოს რომ ორგნიზაციას არცერთი ავტობოლი არ აქვს დაზღვეული, რაც სამუშაო სპეციპიკიდან გამომდინარე აუცილებელიც არის და სავალდებულოც, შესაძლებელია რაიმე გაუთვალისწინებელი ავარია ან მსგავსი ტიპის შემთხვევა, რომელსაც სადაზღვევო კომპანია გარკვეული ნაწილის ანაზღაურება განახორციელებს. რითაც დაიზოგება ორგანიზაციის ფინასური რესურსი.

რეკომენდაცია.

ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალურმა სერვისებმა სამუშაოს სპეციფიკის, ბუნებრივი პირობების, რელიეფის და სხვა ფაქტორების არსებობის გამო შემდგომისათვის იფიქროს ავტო პარკის ავტომობილების დაზღვევის საკითხზე, გარკვეული ნაწილის დაზღვევაზე მაინც.

გარემოება 2.

ორგანიზაცია მოსახლეობის განცხადებების მოთხოვნის საფუძველზე ახორციელებს მისი ავტო პარკში არსებული ექვსკავატორით მომსახურეობას, კერძო სექტორში მიწის გამოთხრას, დატვირთვას, ეზოს გაფართოებას, სახლის მშენებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოებს და სხვა.

აღნიშნული სამუშაოების შესრულების დროს ექვსკავატორი ხშირად გამოდის მწყობრიდან და საჭიროებს შეკეთებას, რომლის ხარჯებსაც ორგანიზაცია ახორციელებს. დაზიანების შემთხვევაში ვეღარ ხორციელდება ისეთი მნიშვნელოვანი სამუშაოები როგორიცაა თოვლის საფარის გაწმენდა, წვიმის შედეგად ჩამოსული მასის გაწმენდა და სხვა, რაც ევალება ორგანიზაციას.

საჭიროა დარეგულირდეს მძიმე ტექნიკის მოსახლეობაზე მომსახურეობის საკითხი, აღნიშნული სამუშაოები განხორციელდეს მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, ან შესაძლოა დაწესდეს სიმბოლური ტარიფი გადასახადი, რომელიც იქნება ორგანიზაციის შემოსავლებში ასახული და შემოსავალი გამოყენებული იქნება ორგანიზაციის საქმიანობისა და მისი განვითარებისათვის.

ორგანიზაციამ იხელმძღვანელოს ხულოს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება №21 (22.01.2018 წ) ა(ა)იპ მუნიციპალურ სერვისების წესდების დამტკიცების შესახებ, მუხლი 3.2. - **ორგანიზაციამ შესაძლებელია მერთან შეთანხმებით დაამტკიცოს კერძო და იურიდიული პირებისათვის გასაწევი მომსახურეობის ნუსხა და მომსახურეობის ტარიფები.**

რეკომენდაცია

ორგანიზაციამ შეიმუშავოს კერძო და იურიდიული პირებისათვის გაწეული მომსახურებისათვის მიღებული შემოსავლების საკითხი, რომელსაც გამოიყენებს ორგანიზაციის მიზნებისა და განვითარებისათვის.

რეკომენდაციებზე რეაგირება.

2021 წელს განხორციელებული აუდიტის შედეგად გაცემულია 4 რეკომენდაცია მონიტორინგის შედეგად დგინდება რომ შესრულებულია 3 რეკომენდაცია 1 კვლავ რჩება ხარვეზად სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციები.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელდა მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმოო (არაკომერციული)

იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტი 2021 წლის 22 ნოემბრის N45/36.

სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაცია რომელიც ორგანიზაციამ უნდა გაითვალისწინოს შემდგომ მუშაობისას.

რეკომენდაცია

ა(ა)იპ-ების უმეტესობა დამფუძნებელს არ წარუდგენს ანგარიშს საქმიანობის შედეგების შესახებ ან წარდგენილი ანგარიში ფორმალური ხასიათისაა და არ ასახავს შედეგების მიმოხილვასა და ანალიზს. საქმიანობის ანგარიშებზე დაყრდნობით მუნიციპალიტეტმა უნდა განიხილოს ა(ა)იპ-ების წლიური შედეგები და შეაფასოს საქმიანობა. აღნიშნული ხარვეზი მიუთითებს, რომ მუნიციპალიტეტების მხრიდან არ არის დაწესებული შესაბამისი კონტროლი, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ა(ა)იპ-ების განვითარებას და მათი საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდას.

შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახურის უფროსი: /ზვიად თავართქილაძე/

უფროსი სპეციალისტი: / სოფიკო ქონიაძე/